შუა აღმოსავლეთ და აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონის გავლენა სასტუმრო ინდუსტრიაზე საქართველოში

თამარი არავიაშვილი

ქეთევან ხიმშიაშვილი

თეონა შევარდნაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ინგა მუმლაძე, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება აზია-წყნარი ოკეანეთისა და შუა-აღმოსავლეთ რეგიონის მოგზაურების მოთხოვნებისა და საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიის მომსახურების დონის შესაბამისობის განსაზღვრას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ჩინეთისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების ტურისტული ბაზრების მოთხოვნებსა და ტენდენციებზე გამომდინარე მათი შესამჩნევად მზარდი ინტერესისა საქართველოს ტურისტული პოტენციალისადმი.

განთავსების საშუალების სტანდარტების შესაბამისობა მომხმარებლების კულტურასა და ტრადიციებთან მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ტურისტის კმაყოფილების დონის შექმნაში, ისე ბიზნესის განვითარებაში.

ნაშრომში წარმოჩენილი იქნება აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონისა და შუა-აღმოსავლეთ რეგიონის მოგზაურთა სპეციფიკური მახასიათებლები. სამომხმარებლო კვლევის საფუძველზე გამოვლინდება სასტუმრო ინდუსტრიის ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ტურისტული სააგენტოების მენეჯერებთან სიღრმისეული ინტერვიუს დახმარებით მოხდება აზიელი და არაბი მომხმარებლების სრულყოფილი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა.

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოჩენილი იქნება ის გამოყენებადი რეკომენდაციები, რომლებიც განთავსების საშუალებების მფლობელებს სერვისისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმარება.